ვის. ხვალვე მითხარით, სად გაგზავნით სატანკო კორპუსს. გაქვთ შეკითხვები? ყველაფერი გასაგებია?

ვასილევსკი: — ყველაფერი გასაგებია.

სტალინი: — კეთილი, აპარატთან მოვიდეს ვატუტინი. ამხანაგო ვატუტინ, მიიღეთ დაეხმება.

პირველი — უნდა უხელოდ დავანელოთ ლელიუშენკოსა და რომანენკოს მოქმედებებს. კონკრეტული დავალებაა, მოახადოთ ოპერაცია „სატურნი“;

მეორე — ვორონოვი დატოვებთ ვორონოვის განკარგულებაში „სატურნის“ მოსამზადებლად და ლელიუშენკოს მისახმარებლად;

მესამე — ფიოდოროვის განკარგულებაში გამოგიგზავნით პირველი შერეული ავიაკორპუსი, დღედეღე კვლავ მიიღებთ კიდევ ერთ ავიაკორპუსს, რომელშიც იქნება გამანადგურებლების დივიზია მოიერიშებით;

მეოთხე — თუ მეხუთე მექანიზირებულ კორპუსს მიიღებთ, ეს რომანენკოს განკარგულებაში იქნება?

ვატუტინი: — გიპასუხებთ. დღევანდელი მდგომარეობით მეხუთე მექანიზირებული კორპუსის გაგზავნა რომანენკოსთვის უფრო სამართლიანი იქნება, მაგრამ, თუ მის მიღებამდე მდგომარეობა შეიცვლება და დახმარება დასჭირდება ლელიუშენკოს, ჩვენ ამ საკითხს პრობლემების გარეშე მოვავსებთ.

სტალინი: — ვინ გაანანიშნებს იმ მექანიზირებულ კორპუსს, რომელსაც მიიღებთ?

ვატუტინი: — გვარდიული მექანიზირებული კორპუსი დატოვებთ ლელიუშენკოს მარცხენა ფლანგზე,

სტალინი: — გიმეორებთ: ორივე კორპუსი — მეხუთე და გვარდიულიც, შეიძლება დარჩეს მარცხენა ფლანგზე ლელიუშენკოსთან, თუ რომანენკოს საბრძოლო რაიონში არსებულ მდგომარეობას გავითვალისწინებთ. „სატურნის“ წარმატებისთვის თქვენ უმოკლეს დროში მიიღებთ ერთ მექანიზირებულ კორპუსს დამატებით და ერთ სატანკო კორპუსს. ეს იქნება თქვენი რეზერვი.

სასწრაფოდ დასვით კუხნეცოვი ლელიუშენკოს მარჯვენა ფრთაზე პირველ გვარდიულ არმიამში და შეუქმენით ყველა პირობა, რათა იმუშაოს „სატურნის“ ოპერაციაზე. ყველაფერი გასაგებია თუ კიდევ დაგრჩათ რამე გასარკვევი?

ვატუტინი: — ჩვენთან, დიდი ხანია, არ გამოჩენილა საარტილერიო დივიზია, არ ვიცი, რა ხდება.

სტალინი: — საარტილერიო და საზენიტო დივიზიები უკვე დატვირთულია და ისინი მალე იქნებიან თქვენთან.

ვატუტინი: — გასაგებია. მე მხოლოდ 3 პოლკი დამრჩა, დანარჩენი გადავეცი 21-ე არმიას. გთხოვთ, თუ საშუალება გექნებათ, გამომიგზავნოთ კიდევ დამატებით 4 პოლკი.


სტალინი: — თქვენი მოთხოვნები სასწრაფოდ გამოგზავნეთ, მე გამოვნახავ დროს და, თუ ახლა მხოლოდ 2 პოლკს გიგზავნით, ხვალ თქვენს მოთხოვნას სრულად დავაკმაყოფილებ. გმადლობთ, ნახვამდის“.

ძვირფასო მეკითხველო, ეს საუბარი იმიტომ გაგაცანიო

დაწვრილებით, რომ გააცნობიეროთ, რა ზუსტად იცოდა სტალინი ომის ყველა წვრილმანი და როგორ გულდასმით აძლევდა დავალებას და იღებდა ინფორმაციას დავალების შესრულების მიმდინარეობაზე.

არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, სასაცილო და **შაურაცხმყოფელი ნათქვამი, რომ ომი პარტიიან, კოალიციან, რუსულ-მა ზამთარმა და ზეთის-სოფლის ხატმა მოიგო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ხატი, რომელმაც აატოპრიოზა გადაარჩინა, ჯერ არ შექმნილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებელ მსოფლიოს ქრისტიან საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტიან რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტიან 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.**

მე აღვწერე სტალინგრადის ბრძოლის ერთი ეპიზოდი, როგორ უმარცხლავს და თავში უდებს სტალინი თავის სარდლებს ომის მსვლელობის ყველა მოსალოდნელ სირთულეს და ზღუდეს. მსოფლიოს ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიამ იმდენჯერ არ მოხსენიებულა რომელიმე ქალაქისა თუ ადგილის სახელწოდება, რამდენჯერაც სტალინგრადის. სტალინგრადის შემოქმედის ხომ, უპირველესად, თვით სტალინია. ვის უჩნდება ეჭვი, რომ სტალინგრადის შემდეგ სტალინს ომი მოგებული არ ჰქონდა, მაგრამ ადამიანის აზროვნება ვერ სწვდება იმ საიდუმლოს, რატომ უნდა გაეყო სტალინის მიერ მოკლული დათვის ტყავი სამ კაცს. ვერც სტალინგრადმა გადაწყვიტა მეორე ფრონტის გახსნის აუცილებლობა. სტალინმა გაიარა უამრავი წყალქვეშა დინებაში, რათა მოკავშირე მტრად არ ქცეოდა და ინგლის-ამერიკას ზავი არ შეეკრა გერმანი-



ხატი, რომელმაც კასობრიობა გადაარჩინა, ჯერ არ შექმნილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებელ მსოფლიოს ქრისტიან საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტიან რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტიან 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა

ასთან (მტრისგან ყველაფერი მოსალოდნელია).

კურსკის გათავისუფლების აღსანიშნავად ნითელ მოედანზე გამართულმა ალღუმმა გაანათა არა მხოლოდ მოსკოვის ცა, არამედ მილიონობით ადამიანის გული და გონება, რომ სტალინი უძლეველი ზეადამიანია.

1943 წლის 31 დეკემბერი ღვთისა და მის მიერ მოვლენილი არსების პირისპირ შეხვედრის ჯერ გაუზარებელი და შუცნობელი მოვლენაა. არავ-

ინ იცის, კაცი ავიდა ღმერთამდე, თუ ღმერთი დაეშვა ადამიანთან ყველაზე დიდი განსაცდელის უამს.

ბერიამ ყურმილი ყურთან მიიღო და სწრაფად ნამოხტა.

— გისმენთ, ამხანაგო სტალინი.

— თუ იცი, მიშა ჭიაურელი მოსკოვშია?

— დავაზუსტებ და მოგახსენებთ. ...ამხანაგო სტალინი, ჭიაურელი მოსკოვშია და ელის თქვენს ბრძანებას.

— ბრძანებას როგორ გაკადრებთ, — ღიმილით მიუგო სტალინი, მაგრამ თუ შეძლებო, შენ და მიშა კრემლის ბინაში მენვეით მარტონი, საღამოს 11 საათზე.

„ასეთი კონკრეტული დავალება სტალინისაგან არასოდეს მიმიღია“, — ფიქრობდა ლავრენტი ბერია, როდესაც 10 საათსა 45 წუთზე მიხეილ ჭიაურელს კარზე მიადგა.

მასპინძელი მხიარულად შეხვდა სტუმრებს. მოკრძალებული სუფრაც დაახვედრა.

საუბარიც გულთბილი გამოდგა. სტალინი ენაწვლიანობდა. ყველაზე თავისი ბავშვობის, სემინარიაში სწავლის, მასწავლებლებისა და გადასახლების ამბებს. მიხეილ ჭიაურელი ოხუნჯობდა, ანეკდოტებს ყვებოდა, არც სტალინი ჩამორჩებოდა მიშას.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინთან სტუმრობა მოსაწყენი არასოდეს ყოფილა, დრო თითქოს ნელა გადიოდა. მხოლოდ მაშინ, როდესაც ფანჯარაში რძისფერი შენიშნა, სტალინი მოკრძალებულად წარმოთქვა, ხომ არ დავიშალოთო.

„მასპინძელმა კარებამდე გამოგვაცილა, კარგ განწყობაზე იყო. დერეფანში ბერია დანიშნურად, მე კი სტალინიმ ხელკაკი გამომლო და კარში ისე გამოვედით. ვიგრძენი, ჯიბეში რაღაცამ გაიფათურა, მაგრამ გვედით გახედვა ვერ გავბედე, — ყველაზე შემდეგ მიხეილ ჭიაურელი. — გარეთ გამოვედით. რადგან ბერიასთან ერთად ჩამოვდიოდი კიბეზე, ვერც მაშინ გავხედე ჯიბეში ხელის ჩაყოფა, რათა გამეგო, რა ხდებოდა ჩემი პალტოს ჯიბეში. ასე მიმაცილა ბერია სახლის კიბემდე.“

ბინაში შესული არ ვიყავი, რომ ჯიბეში ხელი ჩავიყავი და ამოვიღე ხელსახოცში გახვეული მრგვალი რამ. საგულდაგულად გახვეული მრგვალი მასა სახვევებიდან გამოვარჩიე და ხელში შემრჩა ნითლად შეღებილი კვერცხი რომელზეც სტალინისავე ხელით იყო დაწერილი „სწოვიმ გოდომ“.

გაკვირვებულ მიხეილ ჭიაურელი ვერაფრით მიხვდა, რას ნიშნავდა ან ღამის თევზა, ან ამ საჩუქრის მიღება, მაგრამ იფიქრა, რომ ეს ყველაფერი საჭიროა ისტორიისთვის. მიშას ხომ ანგვარი საჩუქარი აღდგომასაც ჰქონდა მიღებული სტალინისაგან, მაგრამ მაშინ ეს ადვილად ახსნა: სტალინიმა შეგნებულად გაათენა მასთან ღამე და ამით შეთანხობა შეასრულა და ნითელი კვერცხითაც დასაჩუქრა, მაგრამ მისთვის გამოუცნობი იყო სახალწლოდ ნითელი კვერცხის ჩუქება და სახალწლო ღამის თევზა.

1944 წლის 1 იანვრიდან სტალინი რეგულარულად ამუშავებდა სამხედრო შენაერთ „ჩრდილოეთის“ სამოქმედო რუკას, შექმნიდა შესწორებები და სხვადასხვა მიმართულებას აძლევდა შემადგენლობებს. 1 იანვრიდან 13 იანვრის ჩათვლით სტალინიმა 7-ჯერ გამოცვალა „ჩრდილოეთის“ დაჯგუფების რუკები, რადგან დამუშავებისგან მიმართულებათა მაჩვენებელი ხაზები ერთმანეთს დააჯდა.

მიწურა ძველით დეკემბერი და 14 იანვარს ახალი წელი ძალაში შედიოდა, რომ ვოლხოვის ფრონტმა იქუსა და მონინალმდევის გამაგრებული პლაცდარში ცაში ავარდა. სამწლიან ალყაში მოქცეული ქალაქი ლენინგრადი სულს ითქვამდა, მაგრამ სულს ლაფავდნენ ფაშისტური გერმანიის არმიები, რომლებსაც ალყა ჰქონდა შემორტყმული ლენინგრადისთვის — სისხლის მდინარეები უერთდებოდა ნევის ნაპირებს.

27 იანვარს სტალინიმა ბრძანება გასცა, საბჭოთა კავშირის სრულყოფილ მოსკოვს გამარჯვების სალუტით აღენიშნა ლენინგრადის განთავისუფლება გერმანიელი დამპყრობლებისაგან.





ყველაზე მეტი ხმა მიიღო ვარიანტმა: სტალინის მოღვაწეობაში „კარგია“ 80 პროცენტი, „ცუდი“ — 20; მეორე ადგილზე ოდნავ ნაკლები ხმების რაოდენობით გავიდა ვარიანტი: 90 პროცენტი კარგია, უარყოფითი — მხოლოდ 10; მესამე ვარიანტი ჩინალების შეფასებას დაემთხვა — სამოცდაათი ოცდაათზე.

იოსებ სტალინისადმი საზოგადოებრიობის დამოკიდებულების საკითხი კვლავ და კვლავ დგება დღის წესრიგში. დროს მოაქვს, მსოფლიოში შექმნილი ვითარება ხდის აქტუალურს, სადღეისოს, გასათვალისწინებელს. ამიტომ, რომ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები აქტიურად განაგრძობენ სოციოლოგიურ კვლევებს პრობლემაში საფუძვლიანად გარკვევის მიზნით.

კვლევების შედეგები — საოცარი და ერთგვარად მოულოდნელიც კი არის.

„საქართველო და მსოფლიო“ უკვე იუნჯებოდა, რომ „ლევან-ცენტრის“ გამოკითხვის შედეგების მიხედვით, სტალინის მოღვაწეობის მონონების დონემ წლების განმავლობაში ამ თემის გამოკვლევების რეკორდი მოხსნა: სტალინის მონონებისა და მის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულების ჯამურმა დონემ 77 პროცენტს მიაღწია; 51 პროცენტი აღტაცებულია ან სიმპათიითაა განწყობილი; 12 პროცენტი მომხრეა იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც პატივისცემით არიან განმსჯელებული სტალინის მიმართ, მნიშვნელოვნად არის შემცირებული ნეგატიურად განწყობილთა რაოდენობა; 70 პროცენტი მიიჩნევს, რომ სტალინმა შეასრულა „უფრო დადებითი“ და „მთლიანობაში დადებითი“ როლი ქვეყნის ცხოვრებაში.

ასე ფიქრობს ხალხი. ასეთია სიმართლე.

მაგრამ, როგორც ჩანს, ეს სიმართლე ყველას ხელს არ აძლევს, უპირველესად კი, ე.წ. ექსპერტებს, რომლებსაც ვერ დაუძლევიან ამ ბუმბერაზი ისტორიული მოღვაწის მიმართ აკვირებული ნეგატიური დამოკიდებულება.

ან არ სურთ თვალის გაუსწორონ სიმართლეს.

ან ორმაგ თამაშს თამაშობენ.

ან მენვერლიმანებენ.

მეტეს არ ვიტყვი.

საოცარია, მაგრამ ამ ურწმუნოთა შორის აღმოჩნდა ტელეჟურნალისტიკის მეტრად მიჩნეული, პრინციპში, ობიექტიური მიმომხილველი **დიმიტრი კისელიძე**, რომელიც ტელენამყვანის ამპლუას წარმატებით უთავსებს ტელეარხის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ფუნქციას.

პოპულარული კოლეგა კვლევების შედეგებიდან ერთი დეტალის უმთავრეს საკითხად წარმოსახვას შეეცადა. კერძოდ: გამოკითხულთა 15-ათასიანი მასივის მხოლოდ 5-მა პროცენტმა დადებითად უპასუხა შეკითხვას — ისურვებდით თუ არა სტალინის დროში ცხოვრებას? მხოლოდ — ხუთმა. როგორც მაშველ როგორც, ისე ჩაეჭიდა მიმომხილველი ამ პროცენტულ მაჩვენებელს: რეალობა ასეთია და „არ შეცდეთ, არ გეგონათ, თითქოს რუსეთი ძირითადად სტალინის ტყვეობით არის დასახლებული“ — გაგაფრთხილა.

არ გვეგონება, მაგრამ იმ პროცენტებს რა უყვით, რომლებიც განსხვავებული სურათის მაჩვენებელია და რომელთა უგულვებელყოფას ცდილობს იგი? „თუ ვინმეს სურს, სხვა რიცხვების მოშველიებით თავს მოგვახვიოს თეზისი, რომ სტალინი ცოცხალია და სტალინის საკითხი რუსეთში აქტუალურია, ეს ხუთი პროცენტი ყვირის — სტალინი მკვდარია! მკვდარია, როგორც პოლიტიკოსი, როგორც

ორც სახელმწიფო მოდელი და როგორც ლოზუნგი. სტალინი წარსულია და არა მომავალი, დღევანდელს სტალინი არ სჭირდება“.

კატეგორიულად დაასკვნა: „სტალინი ისეთივე წარსულია, როგორც იმანე მრის-სანა, ზორის ბოდუნი, ნიკოლოზ II ან სტივანი რაზინი“.

თანდათან დააკინა, დამცრო, ისტორიული პიროვნებების დაღმავალი რიგის ბოლოში მოაქცია — მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხებული დონე კაზაკების ატამანის დონემდე დააქვეითა.

მაშ, რით ავხსნათ „ლევან-ცენტრის“ სოციოლოგების კვლევის მონაცემი, რომლის მიხედვით, **რუსეთში სტალინის მიმართ პოზიტიურად განწყობილია გამოკითხულთა 58 პროცენტი?**

ცდება ხალხი?

იგრძნო ეს შეუსაბამო ტელეპროგრამის წამყვანმა და თავისი სკეპტიკური პოზიციის დასაცავად გამოკითხვის შედეგებში სუსტი ნერტილის ძებნა დაიწყო. 58-პროცენტიანი მონონება ჭრილით წარმოვიდგინა, დააქუცმაცა, დააპატარავა — ნაწილებიდან შეკონინებული შთაბეჭდილების შესაქმნელად: საერთო მაჩვენებელში (58 პროცენტში), პატივისცემა კი არის 48 პროცენტი, მაგრამ „სიმპათია მხოლოდ 6 პროცენტია, აღფრთოვანება — თანდათან მიღვევადა, სულ რაღაც — 4 პროცენტი“.

მხოლოდ ოთხი პროცენტი, თითქოს ეს ოთხი პროცენტი რაღაც ცალკე ადგილზე, დამოუკიდებელი მაჩვენებელი იყოს და არა სტალინისადმი ერთი მთლიანი პოზიტიური განწყობილების შემადგენელი ნაწილი. ხოლო **ერთიანი მონაცემი ისევე, როგორც „პრინციპი არ ქუცდება“ (ვიქტორ პიუგო).**

პოზიტიური დამოკიდებულება კი თურმე მხოლოდ სამამულლო ომში გამარჯვების მოპოვებით არის განპირობებული. მაშას ისე მიაწვდის ტელეარხის ათეულ მილიონობით მაყურებელს, თითქოს ცოდავამი ამხელს გამოკითხულთა მასას — ხიბლში არის, გამარჯვება რომ არა, არც პოზიტიური დამოკიდებულების საფუძველი იარსებებდა.

მაგრამ გამარჯვება ისტორიული ფაქტია და მარჩიელობა ამ საკითხთან დაკავშირებით, მინიმუმ, არასერიოზულია.

რამ აიძულა, რა რჯიდა? მით უფრო, რომ **საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად რუსეთის ცენტრის** გამოკვლევით ნათელი სურათი დაიხსნა:

გამოკითხულთა 87-მა პროცენტმა სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის, როლი უამრავი გამარჯვებაში არა მხოლოდ დადებითად შეაფასა, არამედ მიიჩნია, რომ იყო წამყვანი და განდამწყვდი.

ასეთი დამოკიდებულება, იმავე გამოკვლევის მიხედვით,

გვჭირდება თუ არა სტალინი დღეს

ყველაზე მეტი ხმა მიიღო ვარიანტმა — სტალინის მოღვაწეობაში «კარგია» 80 პროცენტი



საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სრულიად რუსეთის ცენტრის გამოკვლევით ნათელი სურათი დაიხსნა: გამოკითხულთა 87-მა პროცენტმა სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდალის, როლი უამრავი გამარჯვებაში არა მხოლოდ დადებითად შეაფასა, არამედ მიიჩნია, რომ იყო წამყვანი და განდამწყვდი

ანმენს ამშვენებს. ქვეყანა კი უკან მოუხედავად და კომპლექსების გარეშე მსოფლიო ლიდერობისკენ მიისწრაფის, — ეს არის ციტატა მიმომხილველად.

და სადავო აქ არაფერია. განვავრძობ.

სააგენტომ „Россия сегодня“ ორიოდ კვირის წინათ სცადა, გამოეკითხა რუსეთის მოქალაქეები ჩინელების მიერ გამოყენებული პრინციპით — „კარგი-ცუდი“. ინტერნეტრესურსზე RIA.ru.

გამოკითხვაში მონაწილეობდა ამ რესურსის 15 ათასზე მეტი მომხმარებელი. შედეგები ფრიალ საყურადღებოა.

მოყალიბების პროცესში საბჭოთა სივრცეში რეალურად არსებული პირობები.

დასასრულ, პრინციპის „კარგი-ცუდის“ მიხედვით ისტორიულ ჭრილში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა ასეთ სურათს იძლევა:

პუტინის პერიოდში რუსეთის სწორი მიმართულებით განვითარებას ხმას აძლევს გამოკითხულთა 72 პროცენტი, 17 პროცენტის აზრით განვითარება უარყოფითია.

მეორე ადგილზე სტალინი — სამოცდაათი ოცდაათზე, შემდეგ — **ბრეჟნევი** და **ლენინი**, როცა დადებითი მიხედვით უარყოფითს აჭარბებს. **ხრუშჩოვიდან** მოყოლებული კი ნეგატივი უმეტესია — 39 დადებითი, 40 — უარყოფითი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში **ელცინის** საქმიანობას რუსეთის მკვიდრთა 72 პროცენტი უარყოფითად აფასებს, **გორბაჩოვისას** — 74 პროცენტი.

აქ მთავრდება სტატისტიკა და აღმოჩნდება შემაჯამებელი დასკვნის რუბიკონის წინაშე.

ტელემომომხილველის აზრით:

„დიახ, იყო ასეთი ისტორიული პიროვნება სტალინი, პიროვნება წარსულიდან. გვჭირდება კი სტალინი დღეს? დაბეჯითებით გეტყვით — არა! უნდა ამოვშალოთ სტალინის ისტორიიდან? არა! იგი იქ უნდა დავტოვოთ, მაგრამ **გვჭირდება კი სტალინი საერთოდ? თუ — კი, როგორ? დიახ გვჭირდება, როგორც წარსულის ნაწილი**“.

ჩადო ისტორიის კარადის ყუთი და მიხურა.

შეცდა!

„წარსულის ნაწილად“ სტალინის დაკნინება აბსოლუტურად არ ესადაგება ბელადისადმი რუსეთის მკვიდრთა დამოკიდებულების აქ წარმოდგენილ ობიექტურ რეალობას.

სტალინის გამოცხადება წარსულის ნაწილად ყოველად გაუმართლებელია. არავის აზრად არ მოსვლია, წარსულის ჩარჩოებში ჩაეკეტა **იულიუს კეისარი, ნაპოლეონი, დიდი სამეფლის წევრები: რუშველტი და ჩარჩილი** და ა.შ. და ა.შ. არც **მაო ძედუნი**, სხვათა შორის. ჩვენ რატომ უნდა ვიორიგინალოთ?!

ყველაზე მეტი ხმა მიიღო ვარიანტმა: სტალინის მოღვაწეობაში „კარგია“ 80 პროცენტი, „ცუდი“ — 20; მეორე ადგილზე ოდნავ ნაკლები ხმების რაოდენობით გავიდა ვარიანტი: 90 პროცენტი კარგია, უარყოფითი — მხოლოდ 10; მესამე ვარიანტი ჩინალების შეფასებას დაემთხვა — სამოცდაათი ოცდაათზე.

მაშასადამე, ვარიანტი „ოთხმოცი ოცზე“ რუსეთში ყველაზე უფრო პოპულარულია. ჩვენ არასოდეს დავივინყვებთ დანაშაულებრივ რეპრესიებს შენირულად ადამიანებს, პატივს მივაგებთ მათ სხონვანს და გულის ფიცარზე დავინერთ: „ეს არასოდეს განმეორდება!“, მაგრამ **სტალინისად დაფუფასებთ იმ სიკეთეს, რომელიც რუსეთში მისი ლიდერობის დროს გაკეთდა**“ — ასკვნის კისილოვი და ამბობს მართალს, რადგან სტალინმა გააკეთა მაქსიმუმი, რისი განხორციელების შესაძლებლობასაც იძლეოდა „კვიის რუსეთის“ უძლიერეს ბირთვულ სახელმწიფოდ ჩა-

ით, გააძლიერა და გააღრმავა ქვეყნის სახალხო მეურნეობის უმოკლეს დროში აღდგენამ, ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ, ინდუსტრიალიზაციის არნახულმა ტემპებმა და ა.შ.

იმანაც, რომ მაშინ იყო საყოველთაო წესრიგი, დისციპლინა და საერთო-სახალხო დარაზმულობა, სტაბილურობა და საიმედოობა.

ამ პოზიტივის კისელიოვი გვერდს ვერ უვლის, ნახვასმითაც კი აღნიშნავს და... წინააღმდეგობაში ვარდება.

სტალინის პიროვნების მიმართ უარყოფითად დამოკიდებული (შიმი, გაღიზიანება, სიძულვილი) რესპონდენტების საერთო რაოდენობა 16 პროცენტს არ აღემატება, მაგრამ დესპოტად და ტირანად სტალინს გამოკითხულთა მხოლოდ 4 პროცენტი მოიხსენიებს. ასეთია ამ მასშტაბური გამოკითხვის მიუკერძოებელი სტატისტიკა, რომელსაც სრულად მიაწვდის ტელეჟურნალისტიკის პროგრამის დასახელებული წამყვანი.

თავად დადებს სასწორზე გასარკვევად იმისა, „კარგის“ პინა გადასწონის თუ — „ცუდის“. დადებს და ამკარავდება ქეშმარიტება: იოსებ სტალინის, როგორც საბჭოთა ლიდერისა და მსოფლიო მასშტაბის მოღვაწის დადებითი შეფასების მასშტაბურ ფონზე ყველა სხვა მონათესავე ფერმკვლეობა — ტი-

სტალინის ფენომენი, შეიძლება ითქვას, მსოფლმხედველობაა, რომელიც დღევანდელმა გლობალურმა პრობლემებმა დღის წესრიგში დააყენა.

აქსიომა — „ანწყო შობილი წარსულისაგან არის მშობელი მომავალისა“ (ილია) — განხილვას არ ექვემდებარება.

არამაჟ სანაძელი



ჰანოიში ტრამპისა და კიმის მოლაპარაკებების ჩაფლავების შემდეგ, სადაც, რომორც ამბობენ, აშშ-მა მოსთხოვა ჩრდილოკორეელს ბირთვული იარაღის დემონტაჟი და შესანახად მისი გადაცემა ვაშინგტონისთვის, კიმმა დაიწყო ძიება ისეთი ძალისა, რომელიც მას, უბრალოდ, კი არ დაუჭირდა მხარს დიპლომატიურად და ეკონომიკურად, არამედ იქნებოდა კსდრ-ის უსაფრთხოების გარანტიც. ლაპარაკი არ არის საერთაშორისო შეთანხმებებზე, რომელთა ფასიც დასავლეთის უპრინციპობის გამო კაპიკია.

უკრაინიდან კორეაზე

აპრილის ბოლო კვირაში მოსკოვმა თითქმის ერთდროულად წაიწია წინ საგარეო პოლიტიკის საკვანძო მიმართულებებში — უკრაინაში, კორეის ნახევარ კუნძულსა და ავღანეთში.

უკრაინის მიმართ მიღებული ორი გადაწყვეტილება, რომლებიც თეორიულად ჯერ კიდევ 2014 წელს უნდა განხორციელებულიყო — 2019 წლის 1 ივნისიდან ნავთობის, ქვანახშირის, ბენზინისა და დიზელის სანავის ექსპორტის შეწყვეტა უკრაინაში, აგრეთვე, რუსეთის მოქალაქეობის გამარტივებული წესით გაცემა დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების მცხოვრებთათვის. ამით რუსეთი დაუბრუნდა უკრაინის მიმართ ინიციატივის პოლიტიკას, რომლის არარსებობა უფლებას აძლევდა დასავლეთს, დაუსჯევდა ემოქმედა ამ ტერიტორიაზე. რუსეთიდან სანავის ექსპორტის შეწყვეტა ბელარუსიდან ნავთობპროდუქტების შეტანის შემთხვევაზე ერთად უკრაინისთვის სანავ-საპოხი მასალების ბლოკადას ნიშნავს, რაც, სულ ცოტა, გაართულებს უკრაინის არმიის უზრუნველყოფას დონბასში, უარეს შემთხვევაში კი შეიძლება სანავის კოლაფსი გამოიწვიოს უკრაინის ეკონომიკაში.

იც ცხოვრობს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, თუკი მას რუსეთის მოქალაქეობა აქვს". ამით მოსკოვი ნათლად აჩვენებს, რომ „სუსხისა“ და „შეფიქრანების“ დრო დასრულდა. და ის მზად არის, გადაწყვეტი მოქმედებებისთვის უკრაინის, როგორც ანტირუსული სახელმწიფოს, წინააღმდეგ. თანაც ეს არ არის კრემლის ყველა შესაძლებლობა. რუსეთს არსენალში აქვს უკრაინელი ოლიგარქების კაპიტალისა და აქტივების დაპატიმრება, ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ორგანიზატორების გადაცემა სასამართლოსთვის (მათ შორის, ინტერპოლის მემბრით), სავიზო რეჟიმის შემოღება უკრაინის მოქალაქეებისთვის ან რამდენიმე მიგრანტების რაოდენობის შეზღუდვა, ამასთანავე, რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივება ყველა უკრაინელისთვის, შეწყვეტა ან მაქსიმალურად შეზღუდვა ბუნებრივი აირის ტრანზიტის უკრაინის გავლით 2020 წლის 1 იანვრიდან.



ბანკოვანიას ქრიაზე (ამ ქრიაზე ვლადიმერს უკრაინის პრეზიდენტის სასახლე — ბ.გ.) ოფისიური პირის უხვლას რუსეთი არ აღიქვამს რუსოფობიური რეჟიმის უხვლად. საჭიროა რეალური შეხვედრა ნაბიჯების გადადგმა. სანამ ამ ნაბიჯებს არ გადადგამს კიევი, მოსკოვი განაგრძობს მასთან, როგორც მტრულ რეჟიმთან, მოპყრობას.




უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა

ასეთი სვლა აჩვენებს: ბანკოვანიას ქრიაზე (ამ ქრიაზე მდებარეობს უკრაინის პრეზიდენტის სასახლე — ბ.გ.) ოფისიური პირის შეცვლას რუსეთი არ აღიქვამს რუსოფობიური რეჟიმის შეცვლად. საჭიროა რეალური შეხვედრა ნაბიჯების გადადგმა. სანამ ამ ნაბიჯებს არ გადადგამს კიევი, მოსკოვი განაგრძობს მასთან, როგორც მტრულ რეჟიმთან, მოპყრობას.

პარალელურად, მოსკოვი უკვე მთავარ როლს ასრულებს კორეის ნახევარკუნძულში შესახებ გამართულ მოლაპარაკებებში. პრეზიდენტ პუტინთან, როგორც მეგობარი სახელმწიფოს ლიდერთან, რომელსაც შეუძლია, აგონიაში ჩაეარდნილ ჰეგემონთან სასტიკ ვაჭრობაში მხარში ამოუდგეს, დაჯავშნილი მატარებლით სტუმრად ჩავიდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური კიმ ჩენ ინი. მიუხედავად ისეთი გადაწყვეტილებების არარსებობისა (ყოველ შემთხვევაში საჯაროდ არ განხილულა), რომლებიც დაადასტურებდა მკვეთრ წინსვლას, ვლადიმერსტოკში გამართულმა სამიტმა აჩვენა, რომ ყველაზე მწვავე კონფლიქტისას ჩიხიდან გამოსვლა რუსეთის გარეშე შეუძლებელია.

ჰანოიში ტრამპისა და კიმის მოლაპარაკებების ჩაფლავების შემდეგ, სადაც, როგორც ამბობენ, აშშ-მა მოსთხოვა ჩრდილოკორეელს ბირთვული იარაღის დემონტაჟი და შესანახად მისი გადაცემა ვა-



რუსეთის არსენალში აქვს უკრაინელი ოლიგარქების კაპიტალისა და აქტივების დაპატიმრება, ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაციის ორგანიზატორების გადაცემა სასამართლოსთვის (მათ შორის, ინტერპოლის მემბრით), სავიზო რეჟიმის შემოღება უკრაინის მოქალაქეებისთვის ან რამდენიმე მიგრანტების რაოდენობის შეზღუდვა, ამასთანავე, რუსეთის მოქალაქეობის მიღების გამარტივება ყველა უკრაინელისთვის, შეწყვეტა ან მაქსიმალურად შეზღუდვა ბუნებრივი აირის ტრანზიტის უკრაინის გავლით 2020 წლის 1 იანვრიდან

შინგტონისთვის, კიმმა დაიწყო ძიება ისეთი ძალისა, რომელიც მას, უბრალოდ, კი არ დაუჭირდა მხარს დიპლომატიურად და ეკონომიკურად, არამედ იქნებოდა კსდრ-ის უსაფრთხოების გარანტიც. ლაპარაკი არ არის საერთაშორისო შეთანხმებებზე, რომელთა ფასიც დასავლეთის უპრინციპობის გამო კაპიკია.

ერთადერთი ვარიანტი, როცა კსდრ-ის ხელმძღვანელობა დათანხმდება კომპრომის ვაშინგტონთან და წავა დათმობაზე უსაფრთხოების სფეროში (პირობითად: ნაწილობრივი დენუკლიარიზაცია აშშ-ის ბაზების გაყვანის სანაცვლოდ) მდგომარეობს იმაში, რომ რუსეთმა უშუალოდ დაიცვას კსდრ. ეს კი რადიკალურად ცვლის ძალთა განლაგებას შორეულ აღმოსავლეთში და მთლიანად აზიანს უკრაინის რეგიონში. ძალთა ასეთი განლაგება შეუძლებელია აშშ-ის პროტექტორატიდან იაპონიის გასვლის გარეშე. სხვათა შორის, სწორედ ამის კენა მიმართული მოსკოვის შეთავაზება სინძო აპანაში სამშვიდობო ხელშეკრულების დადებაში, რომელზეც კვლავ გააქტიურდება მოლაპარაკებები მაისში.

ავღანეთი — მესამე საგარეო პოლიტიკური ფრონტი, სადაც, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელი შეიქნა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღწევა. რუსეთის პრეზიდენტის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპეცნარმომადგენლების შეხვედრის შედეგად 25 აპრილს მიღწეული იქნა სამხრეთი კონსენსუსი „ავღანეთიდან უცხო ქვეყნის ჯარების მოწვევრივად გაყვანაზე“. არსობრივად, ეს არის აშშ-ის იურიდიულად განმტკიცებული ვალდებულებები შუა აზიის საკვანძო ქვეყნიდან გამოსვლის შესახებ.

ასკარა აშშ-ის პოზიციის ცვლილება ავღანეთის მიმართ, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ისტორიული ნაბიჯი — ამ ქვეყანაში ამერიკის არმიის ყოფნის დასრულება.

პოზიტიური პროცესები მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ომის სხვა ფრონტებზეც. **სირიაში** სრულდება საკონსტიტუციო კომიტეტის შექმნის პროცესი, რომელიც შეარჩევს პოლიტიკურ ძალებს და განაახლებს სირიის სახელმწიფოს. შეიარაღებული ოპოზიცია აქტიურად მონაწილეობს ასტანის პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ფედერაციის სამხედრო კომოსური ძალები წერტილოვან დარტყმებს ახორციელებენ იდლიბში მოქმედ „ბანდიტებზე“. სირიაში ინიციატივა საბოლოოდ და სრულად გადავიდა რუსეთის ხელში, სწორედ ამიტომ ამ ფრონტზე საინფორმაციო ომი მინიმუმამდე შემცირდა. ყურადღების ფოკუსი გადატანილია **ლიბიაზე**, სადაც გენერალმა **ხალია ხაფთარმა** უკვე ტრიპოლის სამხრეთში ოთხი რაიონი დაიკავა და მთლიანად ტრიპოლის დასაკავებლად ემზადება. ეს ლიბიაში ვითარების სტაბილიზაციის სანდარი იქნება. სხვათა შორის, აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ამ ვარიანტის წინააღმდეგი არ არის.

საინფორმაციო სააგენტო რეკონსტრუქციული მასალების მიხედვით მოამზადა ბიროპი განვილიაქაი



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ანტიოქიის ეკლესიამ ჯერ კიდევ 2018 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ „უარყოფს ახალი ეკლესიის დამტკიცების პრინციპებს არსებულ საპატრიარქოში ან ავტოკეფალიურ ეკლესიებში კანონიერ საზღვრებში“. ანტიოქიის ეკლესია მისი მამების ბაბუებით ამტკიცებს, რომ ნაწილობრივ წინადადება ავტოკეფალიის მიღების პრობლემის გადასაჭრელად განსაზღვრული ეკლესიისთვის უნდა მოხდეს მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიისა და პრინციპების თანახმად კონსენსუსის, რომელსაც ადრე მიაღწია ყველა ეკლესიამ.

უძველესი ეკლესიების წინამძღოლები — ალექსანდრიის პატრიარქი თევდორე, ანტიოქიის პატრიარქი იოანე და იერუსალიმის პატრიარქი თეოფილე — 18 აპრილს კვიპროსს ეწვივნენ, რათა ემსჯელათ სიტუაციაზე, რომელიც შეიქმნა გაცილებით ახალი სტრუქტურის, ეკუმენისტური „საპატრიარქოს“ (რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განსაზღვრებით, ეკუმენისტურმა საპატრიარქომ თავი ჩაიყენა მართლმადიდებლობის კანონიკურ ველს გარეთ, ამიტომ არის ჩასმული ბრწყალებში). პატრიარქები ნიქოზიაში არქიეპისკოპოს ქრიზოსტომის — კვიპროსის ეკლესიის წინამძღოლის მიწვევით ჩავიდნენ. კვიპროსის ეკლესია ამჟამინდელი რანგით კი არის მსოფლიოს საპატრიარქოს ტოლი, მაგრამ, როგორც ანტიოქიის ეკლესიის ეპარქია, გაცილებით ადრე შეიქმნა.

როგორც შეხვედრის შემდგომ გამოქვეყნებულ კომუნიკეშია ნათქვამი, წინამძღოლებმა „განხილეს პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ჩუქების შემდეგ“. კერძოდ, შეხვედრის მონაწილეებმა „მოუწოდეს ყველა მხარეს (უკრაინის კონსტიტუციის, იმუშაონ მორწმუნეთა დაცვის საკითხზე, აბრძოლა, წმინდა ტაძრებისა და მონასტრების დაცვაზე მიტანვისგან და ნებისმიერი ძალადობრივი ქმედებისგან“.

ვინმეს შეიძლება გაუჩნდეს კითხვა: შეიძლება, რომ კონსტანტინის უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ჩუქება წინააღმდეგ მის აღიარებას უძველესი ეკლესიების წინამძღოლების მიერ? ამ კითხვებზე პასუხი გაცემულია კომუნიკეში შემდეგ წინადადებაში: **პატრიარქებმა მხარი დაუჭირეს საშუალო ინიციატივას, რომელიც თავის დროზე გამოვიდა კვიპროსის არქიეპისკოპოსი**.

აღნიშნული საშუაგლო ინიციატივით კვიპროსის ეკლესიის წინამძღოლი 2 თვის წინათ გამოვიდა. კვიპროსის ეკლესიის სინოდის 18 თებერვლის სხდომის კომუნიკეში ნათქვამია: „კვიპროსის ეკლესია თავს იტოვებს მათ განკარგულებაში, ვინც ეკლესიის შეიგებითა და ინტერესებში“.

ლაპარაკია იმ კომუნიკეზე, რომელშიც, აგრეთვე, მითითებულია: **„კვიპროსის ეკლესიის, საერთოდ, სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ორიათასწლიანი გამოცდილება, საფუძველს გვაძლევს, დავეჭვდეთ უკანარი ცხვირით“ და კანონების შესაძლებლობაში იმ ქიროტონებისა (ხელდასხვა ეპისკოპოსის ან ეპისკოპოსების მიერ ადამიანისა დიკანად, მღვდლად, ეპისკოპოსად უკრთხვისას — ნ.კ), რომლებიც განხორციელდა აკრძალული, განკვეთილი და ანათემას გადაცემული ეპისკო-**

პოსების მიერ. აკრძალვა, განკვეთა და ანათემაზე გადაცემა ცალკეული პირებისა, რომლებიც იყვნენ უკრაინის კრიზისის ინიციატორები, აღიარა ყველა მართლმადიდებელმა... თუ ჩვენ გულწრფელად დავიცავთ მოცემულ პრინციპებს და გამოვამჯღავნებთ მზადყოფნას მოვიქცეთ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების შესაბამისად, მაშინ არა მხოლოდ უკრაინის პრობლემა, არამედ ყველა სხვა საკითხი, რომლებსაც სირთულეები მოაქვთ ეკლესიისთვის, მოგვარდება“.

ერთი თვით ადრე კი არქიეპისკოპოსმა ქრიზოსტომმა განაცხადა, რომ ლიტურგიისას „მიტროპოლიტი ეპიფანე“ არ მოუხსენიებია და არც მომავალში მოიხსენიებს. „ამ მოცემულ მომენტში მე ვხედავ, რომ უკრაინელი ხალხი არ იმსახურებს ავტოკეფალიას“, — აღნიშნა კვიპროსის არქიეპისკოპოსმა.

რაც შეეხება ადგილობრივ ეკლესიებში დიპტიქის მიხედვით მეორე ეკლესიის, ალექსანდრიის ეკლესიის, წინამძღოლს, ახლახან, 6 აპრილს, მან თავისი შეშფოთება გაუზიარა უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს: **„იმის შესახებ, რამდენად იყო გააზრებული სტამბოლის მიერ „ტომოსის“ მიცემა უკრაინისთვის სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესების გათვალისწინებით“.**

დიპტიქიში მესამე ანტიოქიის ეკლესიამ ჯერ კიდევ 2018 წლის დეკემბერში განაცხადა, რომ „უარყოფს ახალი ეკლესიის დამტკიცების პრინციპებს არსებული საპატრიარქოების ან ავტოკეფალიური ეკლესიების კანონიკურ სანდოებს“: **„ანტიოქიის ეკლესია მისი მამების ბაბუებით ამტკიცებს, რომ ნებისმიერი წინადადება ავტოკეფალიის მიღების პრობლემის გადასაჭრელად განსაზღვრული ეკლესიისთვის უნდა მოხდეს მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიისა და პრინციპების თანახმად კონსენსუსის, რომელსაც ადრე მიაღწია ყველა ეკლესიამ“.**

უკრაინის ეკლესიის წინამძღოლებმა უკრაინაში ბართოლომეოსის შეჭრას მხარი არ დაუჭირეს

«ყველა მართლმადიდებელმა აღიარა იმ პირთა განკვეთა და ანათემაზე გადასვლა, რომლებიც უკრაინის კრიზისის ინიციატორები იყვნენ»



კვიპროსის ეკლესიის, საერთოდ, სრულიად მართლმადიდებელი ეკლესიის ორიათასწლიანი გამოცდილება საფუძველს გვაძლევს, დავეჭვდეთ უკანარი ცხვირით და კანონების შესაძლებლობაში იმ ქიროტონებისა (ხელდასხვა ეპისკოპოსის ან ეპისკოპოსების მიერ ადამიანისა დიკანად, მღვდლად, ეპისკოპოსად უკრთხვისას), რომლებიც განხორციელდა აკრძალული, განკვეთილი და ანათემას გადაცემული ეპისკოპოსების მიერ.

სიოლოგიისა და პრინციპების თანახმად კონსენსუსის, რომელსაც ადრე მიაღწია ყველა ეკლესიამ“.

როგორც ცნობილია, ეს პრინციპები ფეხქვეშ გათვალა ეკუმენისტური „საპატრიარქო“ ანტიოქიის პატრიარქმა რუსი პარლამენტარების მიღებისას განაცხადა: „ჩვენ ძალიან განვიცდით შექმნილ სიტუაციას და სრულიად გიჭერთ მხარს ამ საკითხში“. ხოლო თებერვალში, უკვე მოსკოვში, მაცხოვრის ტაძრის ამბიონიდან მსოფლიოს მართლმადიდებლებს მოუწოდა, ხმა ალემალეზინათ „კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს უკანონობის წინააღმდეგ“.

იერუსალიმის ეკლესიამ (ისტორიულად პირველი) თავისი აზრი გამოთქვა ფენერის ქმედებების (და ამ ქმედებებში აშშ-ის როლის) შესახებ. **„ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი ძმის, მიტროპოლიტ ონოფრესა და მრავალტანჯული უკრაინელი ხალხისთვის, —**

ქველმოქმედი, „ტომოსის“ მონივრულად, პოროშენკოსა და უკრაინის ე.წ. წმინდა ეკლესიაში გადაბარებული ეპისკოპოსის, **დრამინოს** პირადი მტერია. ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ 4 ეკლესიის წინამძღოლთა შეხვედრის კომუნიკე ინტერპრეტაცია, როგორც უკრაინის უწმინდესი ეკლესიის აღიარება, შეუძლებელია. მით უმეტეს, ეკლესიების მიტაცებისა და მრევლზე ძალადობის დაუშვებლობის დაშვებულობაზე“ გაფრთხილების შემდეგ. კომუნიკეში არანაკლებ მნიშვნელოვანია წინამძღოლთა შეხვედრის ასახვა და მოწოდება „ეკლესიის ეკლესიის მიღების შესახებ იესო ქრისტეს ეკლესიის ხელმძღვანელობაში“. ეს საკმაოდ გამჭვირვალე ნართაულია „ეკუმენისტური პატრიარქის“ პაპისტურ ამბიციებზე. „უკრაინული კამპანიის“ მძაურის ფონზე მან მიითვისა „ხელისუფლებაში პირველი პირის“ უფლება, არადა, კანონების მიხედვით, სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს ეკლესიის ერთადერთი მეთაური არის **იესო პირისტა**.

ამრიგად, შეიძლება იმის კონსტანტინის, რომ „ბერძენულმა მართლმადიდებლობამ“ (რომელსაც ზემოაღნიშნულ ეკლესიებთან ერთად მიეკუთვნებოდა ეკუმენისტური „საპატრიარქო“) მხარი არ დაუჭირა ახლო წარსულში თავისი ძმის ანტიკანონიკურ ქმედებებს.

თავის საბერძნეთის ეკლესიამ (განსაკუთრებით ახლოს მყოფმა კონსტანტინოპოლთან) უკვე მერამდენედ გადაადლო უკრაინის საკითხში“ განხილვა და ეს ეკუმენისტური „პატრიარქის“ პირდაპირი მონაწილეობის, სასწრაფოდ გლიარებინათ უკრაინის უწმინდესი ეკლესია“.

ფონდსკი-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა

P.S. ზოგიერთი ცნობით, უკრაინის ახალგაზრდობის „მიტროპოლიტი“ ეპიფანე აღდგომას არ შეუშვებს მაცხოვრის ტაძრის იმ ნაწილში, რომელშიც მართლმადიდებელი მღვდელმთავრები იმყოფებიან.

«ჩვენ ვლოცულობთ ჩვენი ძმის, მიტროპოლიტ ონოფრესა და მრავალტანჯული უკრაინელი ხალხისთვის, — თქვა პატრიარქმა თეოფილემ, როდესაც მიიღო მოქალაქეები ზაპოროჟიის აპარქიიდან. — გლოვალისაში სხვადასხვა მღვდელს, შეაღწიეს ეკლესიის სხვადასხვა ნაწილები. ეს ხდება მსოფლიოს ყველა კუთხეში, მათ შორის, უკრაინაშიც. ასეთი პროცესის ნიშნება პოლიტიკოსების ჩარევით ეკლესიის საქმეებში, პოლიტიკოსების გავლენით, ერთი ეკლესიის წარმომადგენლების ჩარევა მეორე ეკლესიის საქმეებში... მხარი დაუჭირეთ თქვენს წინამძღოლს, იყავით მისი თანაშემწენი და თანამლოცველები, მიბაძეთ მას რწმუნის სიმტკიცეში».



სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები ეპყრობოდნენ ამერიკას, როგორც წარმართი ქურუმები ღვთაებას — ეს ფსევდოკლინიკური დამოკიდებულება არ უშვავს არანაირ განსხვავებულ აზრს, კრიტიკას, ირონიას და ა. შ. ამ სისტემის ფარგლებში წარმოდგენილია, საბარტელოში წარმოსახვითი ამერიკული ბაზის განთავსების გარეშე დიპლუსია და დეზატივი განმარტოს, ეს ირანის ტოლფასია. ამ სისტემის ფარგლებში უზრახვივითი რეპლიკა ალიქმება, როგორც „ღვთის გამოა“ და არა სააკაშვილი პოლიტიკური განცხადება. სააკაშვილი, სწორედ ამიტომ მან ნაციონალიზმი ემოციების ესოდენ დიდი მოზღვავება გამოიწვია.

სალომე ზურაბიშვილი მორიგი სკანდალის ეპიცენტრშია, ამჯერად „ამერიკის ხმისთვის“ მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული განცხადების გამო. საზოგადოების პროდასავლური ნაწილი გაღიზიანებულია იმ კომენტარით, რომელიც პრეზიდენტმა საქართველოში ამერიკული ბაზის გახსნის თაობაზე გააკეთა; ზოგმა მისი იმპიჩმენტიც კი მოითხოვა. ალბათ, უნდა გავფრკვეთ, რა თქვა ზურაბიშვილმა ისეთი, რამაც ესოდენ ნერვული რეაქცია გამოიწვია.

ზურაბიშვილმა აშშ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობაზე ოთხ კითხვას უპასუხა და ვნებათაღელვა მხოლოდ ბოლო რეპლიკამ გამოიწვია, სხვა დანარჩენ შემთხვევაში ის გამოიყურებოდა, როგორც მართლმორწმუნე ატლანტიკისტი. როდესაც პრეზიდენტს ჰკითხეს, „არის თუ არა შეერთებული შტატები საქართველოს ნომერ პირველი სტრატეგიული პარტნიორი?“, მან უპასუხა: „აბა, სხვა ვინ?“. შემდეგ მან თქვა, რომ შავ ზღვაში აშშ-ის საზღვაო ძალების რაოდენობის გაზრდა ქმნის შესაძლებლობებს სტრატეგიული პარტნიორობის გაღრმავებისთვის, ისევე, როგორც „პირდაპირი სამხედრო ურთიერთობა შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან“. მან, აგრეთვე, თქვა, რომ აშშ-თან სამხედრო თანამშრომლობის გაზრდა სურს. ყველა ამ უპასუხე პრეზიდენტი არც ერთ მის კრიტიკოსს არ გასჩენია. და მხოლოდ ბოლოს, როდესაც ჟურნალისტიკა უკითხა: „საქართველოში ამერიკული ბაზის აშენებაზე რას ფიქრობთ?“, ზურაბიშვილმა უპასუხა: „არ მგონია, ეს რეკომენდებული იყოს. ვფიქრობ, ეს ქვეყანა ისეთ ადგილას მდებარეობს, სადაც უსაფრთხოება უნდა გავაძლიეროთ. არაა საჭირო, გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება პროვოცირებდეს იქნას აღქმული და ამასთანავე, არ მგონია შეერთებული შტატები აქ სამხედრო ბაზის მოწყობისთვის მზად იყოს, რაც არა მხოლოდ რუსეთის ყურადღებას მიიქცევს, არამედ ტერორისტული მოძრაობებისაც, რომლებიც ჩვენს რეგიონში ძალიან აქტიური არიან. ჩვენ შორის არსებული ურთიერთგაგების საფუძველზე უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ თანამშრომლობა და არ გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც, შესაძლოა, სხვების რეაქციის პროვოცირება გამოიწვიოს“.

ის გზა გაიმეოროს, რომელიც კონცენტრირებული იყო შიდა პოლიტიკურ თემებზე, რამაც მისი კონფლიქტი ბიძინა ივანიშვილთან გარდაუვალი გახადა და მმართველი პარტიის პროპაგანდისტული მანქანის ერთ-ერთ სამიზნედ აქცია.

სალომე ზურაბიშვილის აქტიურობამ „საგარეო მიმართულებაზე“ რამდენიმე გაუგებრობა უკვე გამოიწვია. მისმა განცხადებებმა აზურბაიჯანთან საზღვრის დემარკაციის დაქარების აუცილებლობაზე, დიდი ალბათობით, ხელი შეუწყო დაძაბულობის ზრდას დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის გარშემო. კიდევ ერთმა მისმა განცხადებამ გამოიწვია უკმაყოფილება ერევანში. მისი შეცდომა თუ საკამათო ნაბიჯები, თითქმის ნებისმიერი რეპლიკა საყოველთაო განხილვის საგანი ხდება, ვინაიდან ნაციონალური მონადენებულნი არიან, სალომე ზურაბიშვილის თითოეული სიტყვის საფუძველზე აპოკალიპსური სურათი შექმნან და ამ ფორმით მაინც იძიონ შური მარცხისთვის სამრეზიდენტო არჩევნებში (ვინაიდან საპროტესტო ტალღის აგორება არ გამოუვიდათ).

იყო სამი ეპიზოდი, როდესაც მათ ზურაბიშვილს აშშ-საქართველოს ურთიერთობების გამო შეუტყვის: პირველად 2017 წლის აგვისტოში, როდესაც ზურაბიშვილმა სკეპტიკური კომენტარი გააკეთა საქართველოში ამერიკული სამხედრო ტექნიკის გამოჩენაზე (სწავლება „ლირსეული პარტნიორი — 2017“). მან „ფეისბუქში“ შემდეგი რამ დაწერა: „ამერიკული სამხედრო ტექნიკის გამოჩენა თავისთავად რას ემსახურება და რისი მომტანია, ჩემთვის ნათელი არაა“ და შემდეგ: „ავგიტაცა რაღაც ილუზიამ რეალური მხარდაჭერის, რომელიც არც 2008 წელს განხორციელებულა და არც გუშინ უკრაინის მიმართ. კარგად მესმის, რატომ ვერ განხორციელდა და რატომ არც უნდა ველოდოთ ამასზე მეტს... ჩვენ უნდა მივხედოთ საკუთარ თავს, ცრუ იმედებს და ვითომ დაპირებებს არ დავეუფეროთ, სიფრთხილი და ჭკუა არ დავკარგოთ... ვიცოდეთ, მეგობარს რა და რამდენიმე თხოვოთ... ასევე მტრის რეალური ძალა ვიცოდეთ და უადგილოდ არ გამოვიწვიოთ! ეს შეცდომის დაფუძვლი 2008 წელს და შედეგებს ვიმკით დღემდე... ერთ კვირაში 7 აგვისტოა და არც არაფერი მიხარია“.

შემდეგ იყო სამრეზიდენტო არჩევნები და მუდმივი ბრალდებები ზურაბიშვილის „პრო-რუსული პოლიტიკის“ გამო, რომელიც სისხშირემ კამპანიის დასკვნით ნაწილში იკლო, ვინაიდან „ქართული ოცნება“ საპარლამენტო გარკვეულ ვაშაძის დიპლომატიურ კარიერასა და მოსკოვურ წარსულს იხსენებდა. მაგრამ არჩევნების შემდეგ კამპანია ახალი ძალით განახლდა.

ანყენინა თუ არა სალომე ზურაბიშვილმა ძია სეზს?



«ეს ქვეყანა ისეთ ადგილას მდებარეობს, სადაც უსაფრთხოება უნდა გავაძლიეროთ. არაა საჭირო, გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც შეიძლება პროვოცირებდეს იქნას აღქმული და ამასთანავე, არ მგონია შეერთებული შტატები აქ სამხედრო ბაზის მოწყობისთვის მზად იყოს, რაც არა მხოლოდ რუსეთის ყურადღებას მიიქცევს, არამედ ტერორისტული მოძრაობებისაც, რომლებიც ჩვენს რეგიონში ძალიან აქტიური არიან. ჩვენ შორის არსებული ურთიერთგაგების საფუძველზე უნდა გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ თანამშრომლობა და არ გადავდგათ ნაბიჯები, რომლებიც, შესაძლოა, სხვების რეაქციის პროვოცირება გამოიწვიოს»

და. აპრილის ბოლოს ზურაბიშვილი გააკრიტიკეს იმის გამო, რომ მან ოფიციალურ „ტვიტერზე“ დონალდ ტრამპის სტატუსი გააზიარა და აცხადებდა, რომ მისი მხარეა. შემდეგ ეს განცხადება ზურაბიშვილის „ტვიტერიდან“ წაშალეს, ხოლო პრეზიდენტის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ყოველივე შეცდომის ან ჰაკერული შეტევის გამო მოხდა. საბოლოო ოჯამში, ვერავინ გაიგო, რა იყო ეს: ტრამპის მხარეა თუ მისი მხარეა, ერთობ უცნაური ფესტი თუ, უბრალოდ, სისულელე. ხოლო მას შემდეგ, რაც დაიწყო სკანდალი „ამერიკის ხმისთვის“ მიცემული ინტერვიუს გარშემო, ეს ეპიზოდი ყველამ დაივიწყა.

ამ კონფლიქტის დროს ერთმანეთს აშშ-ის მიმართ ორი პრინციპულად განსხვავებული მიდგომა ეჯახება. სალომე ზურაბიშვილის გამოცდილება საფრანგეთის დიპლომატიური სკოლის ტრადიციებს ეფუძნება. მაშინაც კი, როდესაც ოფიციალური პარიზი 100%-ით უჭერს მხარს თეთრი სახლის პოლიტიკას, ის ცდილობს, განსაკუთრებული პოზიცია გამოხატოს, აჩვენოს, რომ ის თანასწორუფლებიანი პარტნიორია და ხანდახან შეუძლია მოუქნელ ძია სემს ირონიით შეხედოს. ადგილას ტრამპის მხარეა მისი გადმოტანა საქართველოს პოლიტიკაში, ცალკე უფლების თემა, თუმცა გამორიცხული ნამდვილად არ არის, რომ ის ზურაბიშვილზე გარკვეულ გავლენას ახდენს.

ზურაბიშვილის ოპონენტები მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები ამერიკას ეპყრობოდნენ, როგორც წარმართი ქურუმები ღვთაებას — ეს ფსევდორელიგიური დამოკიდებულება არ უშვავს არანაირ განსხვავებულ აზრს, კრიტიკას, ირონიას და ა. შ. ამ სისტემის ფარგლებში წარმოდგენილია საქართველოში წარმოსახვითი ამერიკული ბაზის განთავსების გარეშე დიპლუსია და დეზატივი განმარტოს, ეს ირანის ტოლფასია. ამ სისტემის ფარგლებში უზრახვივითი რეპლიკა ალიქმება, როგორც „ღვთის გამოა“ და არა სააკაშვილი პოლიტიკური განცხადება. სააკაშვილი, სწორედ ამიტომ მან ნაციონალიზმი ემოციების ესოდენ დიდი მოზღვავება გამოიწვია.

ზურაბიშვილის კომენტარების უკან შეიძლება იდგას რუსეთის მისაგარეთი ბაქაშვილი მსიჯავის განსჯაროების სჯილი, თუმცა არც ის უნდა გამოვიხსნოთ, რომ ყოველივე მხოლოდ მისი პირადი მოსაზრებაა

გარდა, პრობლემას პოლიტიკური ასპექტიც აქვს. სალომე ზურაბიშვილი აგვისტოს ომის შემდეგ თავის განცხადებებში „ფრანგულ“, „ძველფროსულ“ ხაზს ატარებს, რომელიც რუსეთის მიმართ ფრთხილ დამოკიდებულებას და მის მიზანმიმართულ გაღიზიანებაზე უარის თქმას ითვალისწინებს. მას გაკეთებული აქვს რუსეთის პოლიტიკის საწინააღმდეგო არაერთი განცხადება და ამან მოსკოვში უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ საქართველოში აშშ-ისა და ნატოს სხვა ქვეყნების ჯარების განლაგების, ანუ კრემლისთვის პრინციპულად მნიშვნელოვან საკითხის მიმართ ზურაბიშვილი სიფრთხილეს ინარჩუნებს და გამორიცხული არ არის, რომ, როგორც მისი ფრანგი პარტნიორები, ისე ბიძინა ივანიშვილი მიზანშეწონილად სწორედ ამ პოზიციის გასაჯაროებას მიიჩნევენ.

იმისთვის, რომ ხელისუფლება შეინარჩუნოს, ბიძინა ივანიშვილსა და „ქართული ოცნებას“ ძალიან სურს, რომ პრობლემების გადაწყვეტა მოუწვევთ და, საგარეოდ, სურთ ამ პერიოდში გარე საფრთხეებისგან დაზღვეული იყვნენ, შესაბამისად, როგორც აშშ-თან, ისე რუსეთთან მიაღწიონ ისეთ ურთიერთობას, რომ დღევანდელ ხელისუფლებაში პრაგმატულ, განონანსორებულ პარტნიორს და „ნაკლებ ბოროტებას“ შედავდნენ. ზურაბიშვილის კომენტარების უკან შეიძლება იდგეს რუსეთის მისამართით გარკვეული მესიჯების გასაჯაროების სურვილი, თუმცა არც ის უნდა გამოვირიცხოთ, რომ ყოველივე მხოლოდ მისი პირადი მოსაზრებაა, ხოლო განცხადება, რომელმაც ასეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, შემთხვევით, წინასწარი მომზადებით გარეშე გაკეთდა, მით უმეტეს, რომ ზურაბიშვილის პოლიტიკურ კარიერაში არაერთი მსგავსი ეპიზოდი იყო.

კრემლი ყოველივე ამას განსაკუთრებულ ყურადღებას, საგარეოდ, არ მიაქცევს. სანამ საქართველოს კონსტიტუციამ არის ევროატლანტიკური ინტეგრაციის პრიორიტეტული და ამ მიმართულებით არაერთი კონკრეტული ნაბიჯი გადაიდგა, ის ნებისმიერ განცხადებას, საგარეოდ, მეორეხარისხოვანად ჩათვლის და კვლავ შეეცდება, მიაღწიოს იმ მდგომარეობას, როდესაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციის საკითხი დღის წესრიგიდან საბოლოოდ მოიხსნება. ამ მიზნის მიღწევა მას შეიძლება ტრამპის ადმინისტრაციის იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ გაუადვილოს და ახალ, შეცვლილ რეალობაში ზურაბიშვილის სკეპტიკური პრაგმატიზმი შეიძლება გაცილებით მოთხოვნილი იყოს, ვიდრე მისი ოპონენტების „ექსტრემული პროამერიკულობა“.



საქართველო ნიუს ანის

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენებური მეოჯახე არასოდეს არ დაიჯერებს, რომ ვუთხრა, გერმანიის ისეთი მეოჯახე არიან, რომელთაც მხოლოდ სამასი დღიური მიწა აქვთ საშუალოდ და აქედან წმინდა შემოსავალი ათი ათასი მანეთი აქვთ წელიწადში. უფრო საკვირველი ეს არის, რომ ეს მიწა ქალაქის მახლობლად არ მდებარეობს და არც ცვდება, რომორც ჩვენი მოხდება ხოლმე, ორი სამი მოსავლის შემდეგ; ის კი არა ნაყოფიერობა თან და თან უფრო მატულობს“.

რა უნდა გადმოვიღოთ თანამედროვე ევროპისგან და რაზე უნდა ვთქვათ უარი

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიასი

ქართული სოფლის ტრადიციულ თვითმმართველობას ილია მართალმა „სოფლის უზენაესობა“ უწოდა, მაგრამ დარღვეული ვახტანგ VI-ის კანონების უმთავრესი მუხლი: „169. ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა: წყალი, შუშა და ბალახი“. მას შემდეგ, რაც საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება წარმოიშვა, ამოქმედდა მიწის სასოფლო-სათემო საკუთრება, რომელიც, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, მოსახლეობას წყლით, ხეტიყითა და სათიბ-საძოვრით უზრუნველყოფდა.

ქართველოს სოფლის მეურნეობა დაქვევულია, გლეხი კი — გაღატაკებული, თუმცა საკითხავია: დარჩა კი სოფელში ის მეურნე, რომლის სახეც რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ უკვდავო „ჯარისკაცის მამაში“? ერის სახელოვანი შვილები ყოველთვის ცდილობდნენ განვითარებული ერებისა და ქვეყნების ისეთი გამოცდილების შესწავლას და შემდეგ ქართულ ყოფაზე მათ მორგებას, რომლებიც საქართველოს სასიკეთოდ წაადგებოდა, გააძლიერებდა და გაამდიდრებდა. ამაზე წერდა XIX საუკუნის ქართული პრესაც.

ამჟამად სრულიად ბუნდოვანია, როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ, რადგან დასავლურ ფასეულობებზე უფრო ვამაზვილებთ ყურადღებას, ვიდრე ქართული ეროვნული ცხოვრების წესისა და ტრადიციების აღდგენაზე, უცხოური იდეების შემყურეთ ლამის ქვეყანა ხელიდან გამოგვეცვალოს. მკვიდრი მოსახლეობის ახალგაზრდა, ჯანსაღი ნაწილი ლუკმაპურს უცხოეთში ეძებს, სამშობლოში კი კეთილდღეობის უმთავრესი წყარო — მიწა დაუშუქავებელია. ფიქრობს კი ვინმე, ეს გზა სად მიგვიყვანს?

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ 1871 წელს „სასოფლო გაზეთში“ (№6) დაბეჭდილ წერილს, რომელიც გერმანიის მაგალითზე მიწის მოვლა-პატრონობის სასარგებლო რჩევებს აწვდიდა ქართველ მეურნეებს.

როგორც ჩანს, „ჩვენ და ევროპა“ — ეს საკითხი აქტუალური იყო ილიასა და თერგდალეულთა ეპოქაშიც, მაგრამ მათთვის ევროპეზაცია ნიშნავდა ევროპიდან ჩვენთვის სასარგებლოს გადმოღებას და არა სიმბახინჯის, უზნეობის ათვისებასა და პროპაგანდას, რასაც დღეს ასე მონდობებით ეწევიან ცრულიბერალები, ვაიპატროტები — ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ ეროვნული ღირსება და თავმოყვარეობა. ილიას აზრით, ჭეშმარიტი კონსერვატორობა და ჭეშმარიტი ლიბერალიზმი თანაარსებობს და ერთმანეთს უპრობლემოდ ავსებს, მაგრამ რას გვთავაზობენ თანამედროვე ლიბერალები და როგორია მათი შემოთავაზებების მიმართ საზოგადოების პროგრესული ნაწილის დამოკიდებულება?

ჯერ კიდევ 1995 წლის საშობაო ეპისტოლეში ილია მეორემ კანონმდებლებს საჯაროდ მოუწოდა, საქართველოში აგარარული რეფორმა ქართული გზით წარმართა, მაგრამ შექმნილ მდგომარეობაზე მაღლა მდგომი უხილავი ძალა თავისას აკეთებდა, რომლის მიმართ საქართველოს ხელისუფლება საეჭვოდ დამყოლი იყო. მეცნიერები ხელისუფლებას ამაოდ არწმუნებდნენ: სანამ მიწის ინვენტარიზაცია, კადასტრი და ბონიტორება არ ჩატარებულა, სანამ სოფლებს ტრადიციული თვითმმართველობა, ქონება, ბიუჯეტი არ დაუბრუნებიათ, საშუალოდ ყენა არ ჩამოყალიბებულია, მიწების გაყიდვა დამლუბველია. მიუხედავად ამისა, გააუქმეს მიწის მართვის დეპარტამენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტროსაც მიწაზე ყოველგვარი უფლება ჩამოართვეს; 2006 წელს თვითმმართველობის არჩევნები ჩაატარეს და სოფელი, როგორც პირველადი ტრადიციულ-ადმინისტრაციული ერთეული, გააუქმეს. საქართველოს მიწა, ქართველი ერის სასიცოცხლო ტერიტორია, სრულიად დაუცველი დარჩა. მერე ისევ დაფაცურდნენ — მშობლიური მიწა უნდა დავიცვათ და შევინარჩუნოთ... ერთი სიტყვით, ვაბურთავით ეს ნალოლიანობა, ათასწირ-ვარამგამოვლილი მშობლიური მიწა და ასე მოვედით დღემდე — როცა სა-

ჩვენ სიახლეს მივესალმებით, მაგრამ ახლის საჭიროება რომ განჩნდეს, ცხოვრება წინ უნდა მიდიოდეს, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში რიგითი ადამიანების ოჯახებს ეტყობა ცხოვრების წინსვლა?

